

რიყეთი

# აჭარაში პირველი ამაგ-ი ჩამოყალიბდა

## ევროპული LAG-ის ქართული ანალოგი

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში ახორციელებს პროექტს „სოფლის განვითარების ხელშეწყობის საპილოტე პროგრამა“.

პროექტის მიზანია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ შემოთავაზებული – სოფლის აქტიურ მოქალაქეთა გაერთიანების ჩამოყალიბების, სოფლის განვითარების სტრატეგიების ფორმირების, განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის აპრობაცია.

პროექტის ფარგლებში „ინტელექტმა“ ხულოს მუნიციპალიტეტის რიყეთის თემში ჩამოაყალიბა ორგანიზაცია, ეგრეთ წოდებული „ამაგ-ი“, რომელიც წარმოადგენს აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივ გაერთიანებას, რომელსაც მინიჭებული აქვს არაკომერციული არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი და დამოუკიდებლად ეწევა საქმიანობას სოფლის განვითარების პოტენციალის გამოვლენის, საჭიროებების შესწავლისა და განვითარების სტრატეგიების ფორმირება-განხორციელების მიმართულებით. ამაგ-ის წევრებთან ერთად ორგანიზაციამ შეიმუშავა თემის განვითარების საშუალოვადიანი სტრატეგიები და პროგრამები, რათა უზრუნველყოს აღნიშნული პროგრამების განხორციელების ხელშეწყობა.



რიყეთის ამაგ-ის არჩევნები

### რატომ შეირჩა რიყეთის თემი?

საპილოტე თემის შერჩევისას ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირმა „ინტელექტმა“ იხელმძღვანელა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით. აღნიშნული კრიტერიუმები მოიცავდა როგორც რაოდენობრივ, ასევე თვისობრივ მახასიათებლებს, კერძოდ:

- მანძილი რეგიონის მსხვილ სოციალურ, ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ ცენტრამდე;

- სასოფლო ტერიტორიების %-ული წილი მთლიან მუნიციპალიტეტში;

- სელექციური და შრომითი მიგრაციის დონე;

- სახელმწიფო და მუნიციპალურ სერვისებზე ხელმისაწვდომობა და ა.შ.

### რიყეთის ამაგ-ი

ყაზბეგის, ლაგოდეხისა და ბორჯომის შემდეგ საქართველოში რიგით მეოთხე და აჭარის რეგიონში პირველი LAG-ი, იგივე ამაგ-ი დაფუძნდა.

აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანება, რომლის აბრევიატურაც არის „ამაგ-ი“, წარმოადგენს სოფლის განვითარებაზე ორიენტირებულ საზოგადოებრივ გაერთიანებას, რომლის საქმიანობის გეოგრაფიული არეალი შეიძლება მოიცავდეს როგორც სოფელს, ასევე თემს, თემთა გაერთიანებას ან მუნიციპალიტეტს.

ამაგ-ი ევროპული LAG-ის (Local Action Group) ქართული ანალოგია. სახელწოდების ავტორი თავად ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტია“. ორგანიზაცია მუშაობდა რა პირველი LAG-ის ჩამოყალიბებაზე აჭარის რეგიონში, ერთ-ერთმა თანამშრომელმა კობა ჯუმუშაძემ აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანების „ამაგ-ის“ სახელწოდებით ჩამოყალიბების იდეა გააცნო პროექტში ჩართულ აქტორებს. ინიციატივა მოიწონეს როგორც აბრევიატურის, ასევე აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივი გაერთიანების შინაარსის გამოც (ამაგი - ღვაწლი, ვინმეზე გაწეული შრომა).

ასე გაჩნდა პირველი ქართული ამაგ-ი - რიყეთის ამაგ-ი.

ამაგ-ის მისიას წარმოადგენს სოფლის განვითარების სტრატეგიების ფორმირება, განვითარებაზე ორიენტირებული პროგრამების შემუშავება და მათი რეალიზაცია, თემის მოსახლეობის მობილიზაცია სოფლის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და გარემოსდაცვით საქმიანობებში აქტიური მონაწილეობისათვის.

ამაგ-ის მმართველი ორგანოა საკოორდინაციო საბჭო, ხოლო მმართველი პირი – საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც ჰყავს ორი მოადგილე. ამაგ-ი შედგება 4 ძირითადი კომისიისგან: ეკონომიკურ საკითხთა კომისია, გარემოს დაცვის საკითხთა კომისია, სოციალურ და განათლების საკითხთა კომისიები.

ამაგ-ის წევრობა და ცალკეულ კომისიებთან არსებული საზოგადოებრივი ჯგუფების საქმიანობაში ჩართვა შეუძლია საარჩევნო ასაკის მქონე ნებისმიერ მსურველს. ამაგ-ის გამართული ფუნქციონირებისათვის წევრთა მინიმალური რაოდენობა უნდა შეადგენდეს 10-12 ადამიანს, რომელთა შორის იქნებიან ქალები, საჯარო მოხელეები, ბიზნესსექტორის წარმომადგენლები, ახალგაზრდები (18-დან 29 წლამდე) და სოფლის რჩეულები. რიყეთის ამაგ-ი 25 წევრისგან შედგება. თემის ხუთივე სოფელს ამაგ-ში თავისი ხუთი წარმომადგენელი ჰყავს – ქალბატონი, საჯარო მოხელე, ბიზნესსექტორის წარმომადგენელი, ახალგაზრდა და სოფლის რჩეული. ამაგ-ის წევრები სამასამდე რიყეთელმა სოფლის კრებაზე ფარული კენჭისყრით აირჩია და ნდობა გამოუცხადა. არჩევნების დღეს თავად რიყეთელებიც კი გაოცებულნი იყვნენ: „ამდენი ამომრჩეველი არც საპრეზიდენტო, არც საპარლამენტო და არც ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე არ ყოფილა, ნეტავ ასეთს ვის ვირჩევთ, რომ მთელი სოფელი აქ არის?“

რიყეთის ამაგ-ს თამაზ შანთაძე ხელმძღვანელობს. ის დიდი რიყეთის სოფლის რჩეულია. „ის, რომ სოფელმა ნდობა გამომიცხადა და როგორც სოფლის რჩეული ამაგ-ის წევრად ამირჩია, ჩემთვის დიდი პატივია. ეს პროექტი საპილოტეა და რიყეთის თემისთვისაც ახალი გამოწვევაა. მოსახლეობაში რომ დიდი დაინტერესება გამოიწვია, ეს ამაგ-ის არჩევნებმაც დაადასტურა. ორგანიზაციაში ყველა სოციალური ფენის წარმომადგენელია გაერთიანებული, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ვფიქრობ რამდენიმე წლის შემდეგ ამაგ-ს მნიშვნელოვანი წვლილი ექნება რიყეთის თემის განვითარებაში შეტანილი და სხვა თემებისთვის მისაბაძი და სამაგალითო იქნება“, – განაცხადა თამაზ შანთაძემ.

ნუგზარ შამანაძე ამაგ-ში სოფელ დანისპარაულის მოსახლეობამ როგორც საჯარო მოხელე აირჩია: „ამაგ-ი ბევრ სასიკეთო საქმეს გააკეთებს მოსახლეობისთვის. ჩვენს სოფელს ტურიზმის განვითარების კუთხით დიდი პოტენციალი აქვს. ალბათ ამაგ-ის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ეს იქნება. თუკი ორგანიზაცია შეძლებს ისეთი პროექტების დაფინანსებისათვის თანხის მოძიებას, რაც მუნიციპალურ ბიუჯეტში არ არის გათვალისწინებული, ორმაგად სასარგებლო იქნება. დღეისათვის ჩვენთან მოთხოვნაა საოჯახო სასტუმროების მოწყობაზე. ეს სოფლის ეკონომიკას საგრძნობლად გააუმჯობესებს, რადგან რიყეთის თემს საზამთრო და საზაფხულო ტურიზმის განვითარების დიდი პერსპექტივა აქვს“.

შამანაძე ამაგ-ში ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტს გაუძღვება.

თემში, სადაც სამუშაო ადგილები მხოლოდ სკოლაშია, ქალების უმეტესობა დიასახლისობითა და საოჯახო მეურნეობითაა დაკავებული. ამაგ-მა საშუალება მისცა ქალბატონების ამ კატეგორიას ჰყავდეთ თავიანთი წარმომადგენელი ორგანიზაციაში და გაატაროს მათი ინტერესებიც. „მოხარული ვარ, რომ დიასახლისებსაც აქვთ შესაძლებლობა გააქტიურდნენ და მხოლოდ საოჯახო მეურნეობით არ შემოიფარგლონ, ჩაკეტილი ცხოვრებით აღარ იცხოვრონ,“ – აღნიშნა ამაგ-ის წევრმა დალი აბაშიძემ.

სოფელ რიყეთის ახალგაზრდების წარმომადგენელი ამაგ-ში ოთარ ანთაძეა. მისი თქმით „ამაგ-მა არამარტო ჩემს სოფელში, არამედ მთლიანად რიყეთის თემში ახალი მუხტი და იმედი შემოიტანა. იმას, რაც ჩემს თაობას სურს და გარკვეული მიზეზების გამო ვერ კეთდება, დარწმუნებული ვარ ამაგ-ი გააკეთებს. რიყეთის ახალგაზრდობას მიეცემა საშუალება იცხოვროს ჯანსაღი და აქტიური ცხოვრებით. დაკავდეს სპორტით და განავითაროს საოჯახო მეურნეობა ან მცირე ბიზნესი. განსაკუთრებით პერსპექტიული რიყეთში ტურიზმის განვითარებაა. ამ კუთხით აქტიურად ვიმუშავებთ ამაგ-თან ერთად.“

ამაგ-ის წევრებს კომპეტენციის ამაღლებისა და შემდგომში ეფექტური მუშაობის მიზნით ჩაუტარდათ ტრენინგი SWOT-ანალიზსა და კვლევის მეთოდებზე. ტრენინგის მონაწილეებმა ერთობლივად შეიმუშავეს რიყეთის თემის SWOT-ანალიზის პირველადი ვერსია და გაეცნენ რაოდენობრივი და თვისობრივი კვლევის მეთოდებს. მათ ასევე ჩაუტარდათ ტრენინგი ორგანიზაციის სტრუქტურირებასა და საქმიანობის დაგეგმვაში, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გეგმების შემუშავების პრინციპებზე, პროექტების წერაში – საგრანტო პროექტების წერა; საგრანტო პროექტების მართვა; დონორებთან ურთიერთობა. აღნიშნული ტრენინგების მიზანია ბენეფიციარებს განუვითაროს ის საწყისი უნარები, რომლებიც აუცილებელია პროექტის დაგეგმვისათვის – იდეის გენერირებიდან, პროექტის ჩამოყალიბებისა და განხორციელების შეფასების ჩათვლით. ტრენინგზე მიღებული ცოდნის აპრობაცია უკვე შედგა: რიყეთის ამაგმა პირველი დამოუკიდებელი საგრანტო განაცხადი გააკეთა „თემის განვითარების რესურსცენტრში“.

„ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების ჩამოყალიბებით მოსახლეობას ეძლევა სოფლად ცხოვრების გაუმჯობესების ბევრი შესაძლებლობა. ძალიან მნიშვნელოვანია პირველ რიგში ამაგ-ის წევრებმა დაინახონ განვითარების პერსპექტივები, გაიაზრონ მათი როლი განვითარების პროცესებში და თანმიმდევრულად, საჯარო და ბიზნესსექტორთან თანამშრომლობით გადადგან ქმედითი ნაბიჯები სოფლის გაძლიერებისთვის,“ – ასეთია „ინტელექტის“ პოზიცია.

**P.S. ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ აქტიურ მოქალაქეთა ადგილობრივ გაერთიანებას ქედის მუნიციპალიტეტის დანდალოს თემშიც დააფუძნებს.**



საინფორმაციო შეხვედრა სოფელ ზოძაურში

**გვერდი მომზადებულია პროექტის „სოფლის განვითარების საპილოტე პროგრამა“ ფარგლებში. პროექტს ახორციელებს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირისა და გაეროს ოფიციალურ პოზიციას.**